# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 334

“7” დეკემბერი 2018 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მანიასთვის" (ს/ნ: 442729665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მანიასთვის" (ს/ნ: 442729665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №18.877.1273 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მანიასთვის" (ს/ნ: 442729665) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე